„კავკასიის კრიზისი“ - მეტაკოგნიტური მართვის თეორიის ჭრილში“

მოხსენება წარმოადგენს კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის კავკასიის გეოპოლიტიკური მოდელირების ლაბორატორიის ბაზაზე **კავკასიის პოლიტიკური კვლევების** მიმართულებით შექმნილ ნაშრომს და განეკუთვნება **მშვიდობის, კონფლიქტების და უსაფრთხოების კვლევების** ტიპს. კვლევა წარმოადგენს ავტორის სადისერტაციო ნაშრომის კომპონენტს, რომელიც ემსახურება „აფხაზეთის კრიზისის“ მოგვარებისთვის შესაძლებლობების ინვენტარიზაციას.

მოხსენების მიზანი: კავკასიოლოგიის ახალი კვლევითი მიმართულების - კავკასიის პოლიტიკური კვლევების გამოყენებით - კავკასიაში დღემდე მოუგვარებელი კონფლიქტების არსებობის პირობებში, საერთო საფრთხეების გაცნობიერებაზე ორიენტირებული რეგიონული თანამშრომლობის სამეცნიერო უზრუნველყოფა.

პრობლემის აქტუალობა: კავკასიის რეგიონი შორს არის მშვიდობის მდგომარეობისაგან, მასში მიმდინარეობს სხვადასხვა ტიპის და ინტენსიობის კონფლიქტები. ამ კონფლიქტების მოგვარების მრავალწლიანი მცდელობების მიუხედავად, რეგიონი რჩება მსოფლიოს რუკაზე ერთ-ერთ ყველაზე ფეთქებად ზონად. მილიონობით ადამიანმა დატოვა რეგიონი და გაიხიზნა სხვა ქვეყნებში, მაგრამ მილიონობით ადამიანი დარჩა და არსებობს გაურკვევლობის შიშის პირობებში. განსაკუთრებულ ყურადღებას იმსახურებს „რეგიონულ“ და „არარეეგიონულ“ ძალებს შორის ბოლო წლებში განვითარებული გლობალური დაპირისპირება.

მშვიდობის ინსტიტუტის და მშვიდობის და კონფლიქტების ინსტიტუტების მიერ 2007 წელს შექმნილი **მშვიდობის გლობალური ინდექსის** მიხედვით, 2020 წელს დაფიქსირდა 163 ქვეყანას შორის ადგილების შემდეგი გადანაწილება: საქართველო - 95; სომხეთი - 99; ჩინეთი -104; აზერბაიჯანი - 120; აშშ - 121; ირანი-142; თურქეთი -150; რუსეთი - 154. ბევრად უფრო მშვიდად გამოიყურებიან ჩვენი ზღვით მეზობლები - რუმინეთი - 22 და ბულგარეთი - 28. (http://statisticstimes.com/ranking/global-peace-index.php_)
ეს მონაცემები გულგრილად ვერ დატოვებენ ვერც პოლიტიკოსებს და ვერც მეცნიერებს. და ამ გამოწვევებს სჭირდება დროული პასუხი.

კავკასიის ქვეყნებში მცხოვრები ადამიანები განიცდიან სხვადასხვა ტიპის საფრთხეებს. მათი ნაწილი მომდინარეობს მოუგვარებელი კონფლიქტებისგან, მაგრამ ამავე დროს არსებობს უამრავი სხვა საფრთხე, რომელიც მათ კონფლიქტებისგან დამოუკიდებლად ემუქრებად. ეს არის ეკონომიკური კრიზისი; უმუშევრობა; შიმშილი; ეპიდემიები; მასიური ფსიქოლოგიური დეპრესიები; ტექნოგენური და ბუნებრივი კატასტროფები და ა.შ.
დღემდე არ არსებობს „კავკასიის საფრთხეების ერთიანი დოკუმენტი“, რომელიც განსაზღვრავდა სტრატეგიაში კავკასიური რეგიონული უსაფრთხოების ერთიანი პოლიტიკის და მისი განხორციელებისთვის შესაბამისი მექანიზმების შექმნის პერსპექტივას.

ამ ვითრებაში დღის წესრიგში დგება მოსახლეობის ამ სხვადასხვა ტიპის საფრთხეებისგან დაცვის საკითხი და გამომდინარე აქედან - მეცნიერებაში არსებული რესურსების გამოყენება იმისთვის, რომ ამ პოლიტიკური კრიზისის პირობებშიც კი მოხდეს არა მხოლოდ ამ

საშიშრეობების ერთობლივი შეფასება, არამედ მათგან დაცვის სტრატეგიაზე ერთობლივი ზრუნვა.

არსებობს ის გამოუყენებელი სამეცნიერო რესურსები, რომლის გამოყენების შედეგადაც შესაძლებელია ვითარების შეცვლა, მრავალმხრივი თანამშრომლობის დერეფანის გაფართოება და თავდაცვის რეგიონული მექანიზმის მშენებლობა.

მეთოდოლოგიური უზრუნველყოფა და სამეცნიერო ღირებულება

- უსაფრთხოების კვლევების მიმართულებით - „საფრთხეები“ განხილულია არა როგორ პრობლემა, არამედ როგორც მშვიდობაზე ორიენტირებული პოლიტიკის რესურსი. მოხდა საფრთხეების დივერსიფიცირება, რამაც მოგვცა შესაძლებლობა უსაფრთხოების პოლიტიკის გატარების მოუგვარებელი კონფლიქტების პირობებშიც კი.
- მშვიდობის კვლევების მიმართულებით - „საერთო მტერზე“ ორიენტირებული ნარატივის ნაცვლად, შემოთავაზებულია ახალი „საერთო საფრთხეებზე“ ორიენტირებული მიდგომა.
- კონლფიქტების კვლევების მიმართულებით - პირველადაა გამოყენებული სინკრეტიზმის კონცეპციის შესაძლებლობა პოლიტიკური მოვლენების აღწერის პროცესში. შექმნილი ტერმინი „პოლიტიკური სინკრეტიზმი“ იძლევა კომუნიკაციის დამყარების შესაძლებლობას ურთულესი კონფლიქტების მსვლელობების პროცესშიც. იგი ამსხვრევს იმ სტერეოტიპს, რომ თანამშრომლობა „მათთან“ შეუძ̌ებელია.
- დაფიქსირებულია კვლევების ახალი მიმართულება - კავკასიური პოლიტიკური კვლევები რაც წარმოადგენს მნიშვნელოვან სიახლეს საერთაშორისო მეცნიერებისათვის და კავკასიის რეგიონის პოპულარიზაციისათვის.

ალექსანდრე რუსეცკი - კონფლიქტების და სამშვიდობო პროცესების კვლევის სპეციალისტი; ფსიქოლოგიის დოქტორი, პოლიტიკური ფსიქოლოგიის საერთაშორისო საზოგადოების წევრი; კავკასიის საერთაშორისო უნივერისტეტის - კავკასიის გეოპოლიტიკური მოდელირების ლაბორატორიის ხელმძღვანელი; პოლიტიკური მეცნიერებების დოქტორანტი; საქართველოს პოლიტიკის მეცნიერებათა და მორალის აკადემიის წევრი; ცხუმ-აფხაზეთის მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტი; საქართველოს პარლამენტის დიასპორების და კავკასიური პოლიტიკის კომიტეტის სამეცნიერო-საკონსულტაციო საბჭოს კოორდინატორი; 1992 წლიდან პროექტ „ტრანსკავკასიური დიალოგის“ კოორდინატორი საქართველოდან.